საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/244 „ 10 „ სექტემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე დავები; ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების განხორციელების თაობაზე დავები; აღიარებითი სარჩელის თაობაზე დავები; სააღსრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები; საარჩევნო დავები;

ბ) ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების თაობაზე დავები; საგადასახადო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები (სხვა დავები); საარჩევნო დავები;

გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის თაობაზე დავები; შრომითი დავები; საარჩევნო დავები;

დ) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები; მიწის კანონმდებლობიდან და სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავები; საარჩევნო დავები;“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი